საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 206 2022 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

„2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და ამავე წესის მე-3 მუხლის

მე-7 პუნქტისა და „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის 2021-2022 წლებში განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის №920 განკარგულების გათვალისწინებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული – „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (პროგრამული კოდი: 56 14) ასიგნებებიდან ზოგიერთ მუნიციპალიტეტს გამოეყოს არა უმეტეს 25 895 370 ლარისა, ხოლო „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული – „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (პროგრამული კოდი: 55 14) ასიგნებებიდან – არა უმეტეს 39 607 107 ლარისა, დანართის შესაბამისად.“.

2. დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი

№	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულება	2021 წელს გამოსაყოფი თანხის ოდენობა (ლარი)	2022 წელს გამოსაყოფი თანხის ოდენობა (ლარი)
1	ლაგოდეხი	ქალაქ ლაგოდეხში ჯიმი მაისურაძის სახელობის დასასვენებელ-გასართობი სივრცის მოწყობა	723 984	706 744	10 000
2	ლაგოდეხი	ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია	724 999	693 974	10 000
3	ლაგოდეხი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის, სოფელ რაჭისუბანში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	327 511	0	324 236
4	თელავი	ქალაქ თელავში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა	3 149 976	0	3 118 476
5	თელავი	ქ. თელავში ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება და QR კუბების და ენერგოეფექტური სკამების განთავსება ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო როლის გაძლიერებისთვის	281 885	0	279 065
6	საგარეჯო	ქალაქ საგარეჯოს ცენტრალურ ნაწილში ახალი რეკრეაციული და გასართობი არეალის მოწყობა	459 280	436 316	0
7	საგარეჯო	მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ხელმისაწვდომობის გაზრდა მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით	2 360 640	0	2 006 544
8	ახმეტა	თუშეთში, „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	164 850	162 991	0
9	ახმეტა	ახმეტის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სოფელ აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობა	658 741	0	652 141
10	გურჯაანი	სოფელ ჩუმლაყის ინდუსტრიული უბნის ბაკურციხის შემოვლით გზასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	1 879 999	1 569 022	122 969
11	გურჯაანი	ჯონ მალხაზ შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია	465 012	445 711	10 000
12	სიღნაღი	ქალაქ წნორში, ევდოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა	1 997 146	1 887 288	10 000

13	საჩხერე	საჩხერის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „მოდინახის ციხის" მისასვლელისა და მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა	827 057	0	785 704
14	საჩხერე	საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	250 996	0	238 418
15	საჩხერე	ქალაქ საჩხერეში დოსითეოს წერეთლის ქუჩის გასწვრივ საქალაქო პარკის მოწყობა	2 916 744	0	2 770 917
16	ქალაქი ქუთაისი	მაჩაბლის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას	597 717	0	591 740
17	ქალაქი ქუთაისი	დავით აღმაშენებლის მოედანზე მდებარე ცენტრალური შადრევანის რეაბილიტაცია	526 992	511 722	10 000
18	ქალაქი ქუთაისი	რუსთაველის გამზირის და ლაღიძის ქუჩის კვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია	234 444	232 099	0
19	ქალაქი ქუთაისი	აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 100 საფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია	673 821	657 083	10 000
20	ქალაქი ქუთაისი	სააკაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას	1 317 006	0	1 303 836
21	ქალაქი ქუთაისი	კუპრაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას	1 223 300	1 201 067	10 000
22	ქალაქი ქუთაისი	რეზო ჭეიშვილის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოების ზრდას	2 544 777	2 509 328	10 000
23	ქალაქი ქუთაისი	ილია ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე ახალგზარდობის სასახლის მიმდებარედ), საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	742 080	0	734 659
24	ქალაქი ქუთაისი	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა, ელექტრო საინფორმაციო ტაბლოებით	1 155 595	0	1 144 040
25	ქალაქი ქუთაისი	ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ნიკეას ქუჩის მეშვიდე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	467 054	0	462 383
26	ქალაქი ქუთაისი	ბუკიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	2 342 402	0	2 318 979
27	ხონი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად სოფელ ხიდის დიდღვაბუნას ტბამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა	727 789	0	720 510

28	ხონი	გუბის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრის რეაბილიტაცია	239 409	237 015	0
29	ხონი	ივანდიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	732 827	715 499	10 000
30	ხონი	მუნიციპალიტეტში ტურისტების მიმზიდველობის უზრუნველყოფისთვის ხონის ბულვარის რეაბილიტაცია	1 744 996	1 717 545	10 000
31	ზესტაფონი	ქალაქ ზესტაფონში ცენტრალური პარკის (ირინეს პარკის) რეაბილიტაცია	1 016 489	0	1 006 324
32	ზესტაფონი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა წერეთლის სახელობის თეატრონის რეაბილიტაცია	1 168 936	0	1 157 246
33	ვანი	ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	331 860	322 859	5 000
34	ვანი	სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერისა და მასზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია	1 644 443	0	1 627 443
35	ვანი	მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	295 203	287 301	5 000
36	ვანი	ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	221 734	214 364	5 000
37	ვანი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ სალხინოში საოჯახო სასტუმროსა და შატო მარანთან მისასვლელი საუბნო გზის რეაბილიტაცია	201 265	193 895	5 000
38	ვანი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ ფერეთაში ტურისტულ ზონამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	225 773	218 118	5 000
39	ვანი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ზეინდარი (შუაგორა) - ფერეთას ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	254 227	246 312	5 000

40	ვანი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	433 488	424 088	5 000
41	ვანი	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ისრითში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	384 755	375 660	5 000
42	ვანი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	284 700	0	281 700
43	ვანი	ქალაქ ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაცია	758 730	0	751 130
44	სამტრედია	სოფელ ნაბაკევში რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა	785 900	773 040	5 000
45	სამტრედია	ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა, სოფელ დიდ ჯიხაიშში ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციის საშუალებით	263 694	0	261 057
46	სამტრედია	ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა სოფელ ღანირში ა/ბეტონის საფარის მოწყობის გზით	466 283	0	461 620
47	სამტრედია	ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ კორმაღალში ა/ბეტონის საფარის დაგება	228 799	0	226 508
48	წყალტუბო	ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, სოფელ გვიშტიბში, შპს „ჰერბია"-სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით"	1 329 754	1 253 266	10 000
49	წყალტუბო	ქალაქ წყალტუბოში, „ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა	92 294	0	87 678
50	ჭიათურა	ქალაქ ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობა	1 275 951	0	1 263 191
51	ჭიათურა	კაცხის სვეტთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	417 587	403 411	10 000
52	ჭიათურა	ჭიათურაში ყაზბეგის ქუჩაზე გედების ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	293 569	0	290 634

53	ტყიბული	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ასფალტო/ბეტონის საფარიანი გზების მოწყობა სოფელ გელათში	1 167 000	1 125 330	30 000
54	ხარაგაული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	619 170	0	612 978
55	ხარაგაული	დაბა ხარაგაულში მდებარე დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია	282 165	0	279 343
56	თერჯოლა	ქალაქ თერჯოლაში N 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა	2 371 704	0	2 347 987
57	ბაღდათი	ბაღდათის მუნიციპალიტეტში საოჯახო ღვინის მარნებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	1 746 692	0	1 729 225
58	ჩოხატაური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისთვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	1 067 434	1 046 760	10 000
59	ჩოხატაური	ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერისთვის (მე-2 ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობა	1 545 006	1 519 555	10 000
60	ოზურგეთი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა	477 420	301 589	10 000
61	ოზურგეთი	ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაცია	1 457 944	0	1 443 364
62	ლანჩხუთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიცირება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით	1 656 368	0	1 639 804
63	ლანჩხუთი	სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით.	1 394 515	0	1 380 570

64	ონი	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ.ონში, სოფლებში: ღებში, გლოლაში, ჭიორაში და კურორტ შოვში მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	300 000	285 000	0
65	ონი	ახალი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ქ. ონში ბეერშევას სახელობის სკვერში ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა	1 470 704	0	1 395 704
66	ცაგერი	უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ქვედა ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია	400 407	391 403	5 000
67	ცაგერი	უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ისუნდერში ბუნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია	361 253	0	357 641
68	ცაგერი	ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ ჩხუტელში გორის უბნის მისასვლელი „ღვინის გზის“ რეაბილიტაცია	523 203	512 971	5 000
69	ამბროლაური	ქალაქ ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობა	4 553 234	1 037 692	3 186 343
70	ცაგერი	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია.	103 000	101 352	0
71	ლენტეხი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი მჟავე წყლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.	1 200 000	1 178 000	10 000